



სადისციპლინო კომისიის გადაწყვეტილება

განხილვის დეტალები			
განხილვის თარიღი	02/11/2022	განხილვის ადგილი	სრკ-ს ოფისი
თავმჯდომარე	მირიან თავზარაშვილი		
სადისციპლინო კომისიის წევრები	ირაკლი ჩიქავა, ვახტანგ სამხარაძე, ედუარდ ნაჭყებია		
დამრღვევის დასწრება	<input checked="" type="checkbox"/> კი <input type="checkbox"/> არა	სხვა დამსწრეები :	
დამრღვევის წარმომადგენელი	არა	<input type="checkbox"/> კი <input type="checkbox"/> არა	<input type="checkbox"/> აღნიშნეთ ვინ
განხილვამდე დამრღვევისთვის მიწოდებული დოკუმენტები/მასალები	არა		

დარღვევასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია და დამხმარე მასალები (მატჩის ოფიციალური პირების და/ან პიროვნებების მოხსენებები, აუდიო/ვიდეო მასალა).

1. I ლიგის V ტურის მატჩის, მარნეულის „არმაზი“ - სამცხე ჯავახეთის „ტაო“, ვიდეომასალა.

დამრღვევის/წარმომადგენლის განცხადება

კიკეთის „იუნკერები“-ს მოთამაშემ, გიორგი გოგიძემ, რომელიც მატჩის დროს სტადიონზე იმყოფებოდა მაყურებლის სტატუსით, აღიარა დისციპლინარული დარღვევა, გამოთქვა წუხილი მომხდარი ფაქტის შესახებ და განაცხადა, რომ მოედანზე შევიდა წარმოქმნილი კონფლიქტის მონაწილეთა გასაშველებლად.

ფაქტობრივი მოცემულობა

1. 30/10/2022 გაიმართა I ლიგის V ტურის მატჩი მარნეულის „არმაზი“-სა სამცხე ჯავახეთის „ტაო“-ს შორის. თამაშის მე-14 წუთზე წარმოქმნილი ფიზიკური დაპირისპირება მოწინააღმდეგე გუნდების მოთამაშეებს შორის გადაიზარდა გუნდურ ფიზიკურ დაპირისპირებაში რომელშიც ჩაერთვნენ ორივე გუნდის როგორც მინდორზე მყოფი ასევე სათადარიგო მოთამაშეები და სტადიონზე მყოფი გულშემატკივრები. წარმოქმნილი სიტუაციიდან გამომდინარე და თამაშის მონაწილე პირების უსაფრთხოების დაცვის არ არსებობის გამო, მატჩის მსაჯმა, საბა მახარაძემ, კიდის მსაჯებთან ერთად მიიღო თამაშის შეწყვეტის გადაწყვეტილება.
2. კიკეთის „იუნკერები“-ს მოთამაშე, გიორგი გოგიძე, ზემოხსენებული ინციდენტისას შევიდა სათამაშო მოედანზე და ჩაერთო ფიზიკურ დაპირისპირებაში.



სადისციპლინო კომისიამ ფაქტობრივი მოცემულობებისა და ვიდეომასალის განხილვის შემდეგ, კიკეთის „იუნკერები“-ს მოთამაშის გიორგი გოგიძის ქმედება შეაფასა როგორც სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციით განსაზღვრული ქცევის კოდექსის უხეში დარღვევა, იხელმძღვანელა სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციის დანართი # 2 და დანართი # 3-თ და მიიღო შემდეგი გადაწყვეტილება :

სანქცია

დისკვალიფიკაცია (კვირა/პერიოდი)	7(შვიდი) კვირა	წითელი ბარათი საკმარისია
დისკვალიფიკაციის დაწყების თარიღი	4/11/2022	
დისკვალიფიკაციის დამთავრების თარიღი	სრკ-ს მიმდინარე განრიგით, I ლიგის XII ტურის დამთავრების შემდეგ.	
სხვა შეზღუდვები/გაფრთხილება	დისკვალიფიკაციის პერიოდში, დისკვალიფიცირებულ მოთამაშეს ეკრძალება ყოველგვარი აქტივობა სათამაშო არეალში, რაგბის თამაშის დროს ნებისმიერ დონეზე.	

თავმჯდომარე ხელმოწერა	მირიან თავზარაშვილი 	თარიღი	04/11/2022
--------------------------	-------------------------	--------	------------

- გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია სრკ-ს სააპელაციო საბჭოში, გადაწყვეტილებაზე დაფიქსირებული თარიღიდან 72 (სამოცდათორმეტი) საათის განმავლობაში.